

F 412
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 6 ივნისი 1957



ორი ქალაქის მეგობრობა

ამა წლის აპრილში თბილისის მშრომელთა დელეგაცია ეწვია რიგას, დაათვალიერა ლატვიის დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნო რესპუბლიკის უახლეს მიღწევებს, ბოლოს, საზეიმო ვითარებაში, დადებულ იქნა რიგასა და თბილისის შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. მაისში საპასუხო ვიზიტით თბილისში ჩამოვიდა რიგის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც ცხრა დღის განმავლობაში ეცნობოდა ჩვენს ქალაქს. ორი ქალაქის — რიგისა და თბილისის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოძმე ლატვიელი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად იქცა.



თბილისის დელეგაციის შეხვედრა რიგის სადგურზე.



თბილისელები აეროდრომზე ხვდებიან რიგელებს.



ლატვიელი სტუმრები რუსთავში.



ქალაქ რიგაში თბილისის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს რადიოქარხანა.



ორი ქალაქის წარმომადგენლები ხელს აწერენ სოციალისტური შეჯიბრების შეთანხმებას.

რიგელი სტუმრები თბილისის ზღვაზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა
თბილისი


F2031



მ. ნირაშვილი და მ. არევაძე უკვე პენსიონერები არიან. ისინი კოლმეურნეობიდან სათანადო დახმარებას იღებენ, მაგრამ მათ გულმა არ გაუძლო და მაინც ჩამოაკითხეს სამგორის მინდვრებზე მომუშავე შვილებს.
რა გემრიელია ცივი ივრის წყალი, მგზავრსაც აგრილებს და სამგორის მინდვრებსაც.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამგორი



სამგორის მიწა მოირწყა და გაცოცხლებულმა მიწამ მოიზიდა ადამიანები გაშენდა კეთილმოწყობილი ახალი სოფლები.

ახლა სამგორელებს საკუთარი ვენახიც აქვთ. სასიამოვნო სასმელია ახალი მოსავლის ღვინო.
— აბა, ერთი ჩვენებური ღვინოც გასინჯეთ, — ეპატუება სტუმარს სამგორის მკვიდრი კირილე ჩაფიძე.



ასე გამოიყურებოდა რამდენიმე წლის წინათ თბილისის ზღვის მიდამოები. ეს ხომ ახლა ზღვის ფსკერია.





ლენინგრადი. ხედი ერმიტაჟიდან

ნ. ასა.

კარეკანის პირველ გვერდზე: ზესტაფონის რაიონის, სოფ. ალავერ-
დის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სოციალისტური
შრომის გმირი ვ. კვანტრიშვილი მის მიერ მოვლილ ვენახში.
ფერადი ფოტო რ. აკოფოვისა.
მეოთხე გვერდზე: საქართველოს სამხედრო გზა. ფერადი ფოტო
მ. მინაილავისა.



გიორგი კალანდაძე

მაგარაბლიძან

ყვავილების ველი... გიორგი კალანდაძე

კლდე და ქალა...
რკინის მძლავრი ხელი
გაუშლია ქალაქს —
ელმავალი მიჰქარის
და სივრცეებს რკალავს.

გზებს უმშვენებს მტკვარი
და ქოლგები ხეთა,
უკან დარჩა ჯვარი,
არმაზი და მცხეთა.

ბრწყინავს ზეცის კიდე,
შორს შვიდფერად ელავს
მდინარეზე ხიდი,
როგორც ცისარტყელა.

ცაზე ღრუბლის ქულა —
გაფრენილი მტრელი.
მზის ნამქერში ცურავს
კავკასიის ქელი.

რეთა ბერთბე

ლაჩხუმის გზაზე

აი გამოჩნდა მწვემთა კარვები,
ცასთან შეზრდილი ორბელის წვერი!
იჩქარე, თორემ დაგეკარგები —
დააკეცილ გზებზე ვერ დამეწვევი.

იქნება მურის ხილზე შევიჩრდე,
რომ გამარჯობა ვუთხრა ლეჩხუმლებს;
ვიცი, წამცდება ფიქრები შენზე —
დამავიწყდება, რომ წამეჩხუბე.

მერე კი როცა მთებს ავიჩრდილებ,
ჩამოვიტოვებ ტვიშს და ალაპანას
იქნებ, ძვირფასო, არც გამიჭირდეს
განშორებაზე ფიქრის ატანა.

მე გამოიტაცებს დანაღმულ კლდეში
ორი მდინარის დაქორწინება.
ლაჯანურის და ცხენისწყლის ეშხი
ათას ვარსკვლავად ამობრწყინდება.

აინთებთან მთებში კარვები
ელექტრონების ციცინათლებით,
იჩქარე, თორემ დაგეკარგები
ლაჯანურბჰესის დიდ სინათლეში!

უმჯობესიან ქურდიანი

ერთი უღელი

სიცოცხლე დიდი...
ერთი უღელი.
სიცოცხლე ტკბილი...
ორი გამწვევი:
მამა, —
ბრძოლაში მკლავმოუღლედი,
დედა, —
სიცოცხლის აკვნის დამრწვევი.

მამული!
ჩვენ სხვას განა ვეძახით,
სადაც ვახარეთ ყანა, ვენახი.

მამული!
მამის მკლავით დაცული
და ვაჟკაცობის მადლის დასტური.

დედა ენაო!
გუთნისდედაო!
დედამიწაო, დიდი მადლი შენ!
ხერხეულიძეთ,
შერჩეულ ძეთა,
წინაპართ შუქზე ზრდიდი ბადიშებს.

ქვეყნად სიცოცხლის უღლის გამწვევი,
ორმოტირალში ქედმოუხრელი,
აკვნის დამცველი, აკვნის დამრწვევი,
ბევრი სიცოცხლის ერთი უღელი.



თბილისელების დასვენების საყვარელ ადგილად იქცა თბილისის ზღვა. პლაჟი, ნავეებით სეირნობა, გართობისა და დასვენების პავილიონები, კეთილმოწყობილი რესტორანი, გრილი ჰაერი იზიდავს დამსვენებლებს.



სამგორის მიწა-წყალზე ჩამოსახლდნენ ხევსურები. აქ ისინი კარგად შეეგუენ ახალ პირობებს. გლეხის შრომას უხვი მოსავლით აჯილდოვებს ივრის წყლით მორწყული სამგორის მიწა. მოხუცი ქალუნდა ჭინჭარაული თავის შვილიშვილებს უჩვენებს ზღაპრის მსგავს ამბებს ხევსურეთში ცხოვრების შესახებ.



თბილისის ზღვის პატარა „ნავსადგური“ მრავალ დამსვენებელს იკრებს. ბუერებისა და ნაფების მისაღებად ყოველთვის რიგი დგას.

მეტად მიმზიდველია თბილისის ზღვაზე გასეირნება.



ქართული ენის სიყვარული

გიორგი ნაპროშვილი

მ ო თ ხ რ ბ ა

მხატვარი ზ. ლეჟავა

ავადმყოფი თითქოს გაუვალ ნისლში იყო და იმ ნისლით ჩაბნელებულ ქვეყანაში ველარაფერი გაეგო, ველარაფერი გაერკვია. ირვლივ რაღაც მჭრქალ ლანდებს ამჩნევდა, აკვირდებოდა, მაგრამ ისინი თვალსა და ხელს შუა ჰქრებოდნენ, დნებოდნენ, იმ ნისლში უჩინარდებოდნენ... მაგრამ რაც დრო გადიოდა, ნისლი თანდათან იცრიცებოდა, იფანტებოდა, ისე როგორც მზის გამობრწყინების წინ იცის ხოლმე და ის წალმა-უკულმა მორიალე ლანდებიც ხორცის ხსამდნენ...

გონზე ხეირიანად არ იყო მოსული, როცა ირაკლიმ გუმანით იგრძინო — ვიღაც დაიწინებინა დასცქეროდა სახეზე. ავადმყოფმა ჯერ მხოლოდ ფართო და შუქიანი თვალები დაინახა, მერე შეჭმუსხნილი წარბები, მთელი სახეც და ბირველ წუთში მაინც ვერ გაიხსენა ვინ იყო ეს ქალი, სად ენახა იგი წინათ, ან თვითონ რა დემარტა, რათ გაუხევევით ბინტებში, რათა სტკივა ეს მკერდი ისე, რომ განძრევას აღარ ანებებს?!

დაცადეთ, ახლავე მოგონებთ ყველაფერს, მაგრამ ისევ ეს ტიალი ნისლი ჩამოწვა... რაღაცის დანახვა უნდოდა და სწორედ მაშინ ისევ აუჭრელდა თვალები... ახლა ველარც იმ სახესა ჰხედავს, ველარც იმ შეჭმუსხნილი წარბებს... სად გაქრა, საით წავიდა... ავირ მგონი სადაც, ძალიან შორს, ფანჯარასთან დგას... ნამდვილია თუ მოჩვენება? რატომ ასე ლანდებით ირხევა პაერში... ვინ არის? სად უნახავს ეს ქალი? რა უნდა ირაკლის მისი ოთახში, თუკი ნამდვილია ვიღაც ეს მისი ოთახი და ეს ყველაფერიც სიზმრად კი არა, ცხადში ხდება.

ავადმყოფი ძალას ატანს თავის მისუსტებულ მესხიერებას — სად უნახავს ეს თვის ბულულით შეჭმურებული წაბლისფერი თმები, ორიოდე სამაგრიტ შეკავებული, რომ ტალღა-ტალღა არი გადმოიშალონ? სად უნახავს ეს ნაზი ნესტოები, ოდნავ რომ თრთიან, ეს თაფლისფერი შუქიანი თვალები, რომელთაც თითქოს შეუნახავთ ყველა კვალი იმ ოცნებისაც, რაც არ ახდენიათ და იმ დარღისაც, რაც ვადაუტახანიათ...

მერე ქალის ხელებზე გადაიტანა თვალი — პატარა ხელები აქვს, მაგრამ ჩანს, ღონიერი და ძალიან მარჯვე... რაღაცას აკეთებს იქ, ფანჯარასთან... აქამდე კი აქ, მის სასთუმალთან იჯდა... ახლა აღარც იცქირება აქეთ.

ნეტავი ვინ არის ეს ქალი? და უცებ ასხენდება ირაკლის ყველაფერი, ასხენდება როგორ მოხვდა ამ უცხო სოფელში, ამ უცხო ოთახში, ამ უცხო, მაგრამ ახლა უკვე საკვირველად ახსობელ ქალთან... დმერთო, სახელი მომაგონე, ნუ შემამლევივინებ, შენი ჰირიმი, მის სახელს... ეთერი?... ჰოო, სწორედ ის არის... ის თმებიც იმისია, ის თვალებიც, ის პატარა ხელებიც... და ავადმყოფი პირველად იღებს ხმას:

— ეთერი! წყალი დამალევივინე, გენაცვალე! — მაგრამ წყალი როდი უნდა ბიჭს, იმ თვალებს უნდა შეჰხედოს, ოდესღაც, სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნაზე მყოფმა რომ დაინახა.

ქალი შეკრთა, სიხარულმა აიტანა. მისმა ავადმყოფმა ხომ პირველად ამოიღო ხმა! მობრუნდა, ირაკლის შემოხედა და წამოიძახა:

— დმერთო ჩემო! შენ უკვე კარგადა ხარ! მაგრამ ირაკლი კარგად არ არის... ისევ უბრუნის თავი, ისევ უჭრელდება თვალები, მაგრამ ახლა აღარ გაუტყდება ავადმყოფობას.

— ცუდადა ვარ, ეთერი! — ამბობს ის. — არაფერია... შენ უკვე კარგადა ხარ!

და სასწრაფოდ წყალი მოუტანა. მერე ჩაპკითხა:

— რა გინდა, მითხარი. ყველაფერს მოგიტან.

— არაფერი არ მინდა, ეთერი! ძალზე ცუდად ვარ! — და თვითონაც აღარ უკვირს ირაკლის, რომ ამ ქალს, უცხო, გენაცვალე, ეძახის. აქვს კი უფლება ასე გაუშინაურდეს? ვინ იცის? და უცერად ისევ ქალის ხმა ესმის:

— ნუ გეშინიან, ბიჭო! გაქცა კი არა ხარ? სატკივარს არ უნდა გაუტყდე... არ უნდა დაემორჩილო თორემ, ისე მოგთვალავს, კაცის სახეს დაგაჯარგინებს... ირაკლის გული დაურბილდა, თავისი დარცხვენა დაიფიქრა და ისევ წამოსცდა:

— ნუ წახვალ! ძალზე ცუდადა ვარ! იქნებ... — და აღარ დაამთავრა. ისევ უკვირს ირაკლის, რომ ასე უთამაზდება უცხო ქალს. ის კი ამხნევებს:

— ჰაი, შე ლაჩარო! არ გითხარი, ნუ გეშინიან-მითქი! სულ მალე ფეხზე წამოგაყენებ... მარტო ის მითხარი, რას ინატრებ? მითხარ, არა გშია?

— ფეხზე წამოგაყენებო! — ასეთი რა დემარტა ირაკლის... ვერ მოიგონა და უბასუხა:

— ჰო, მშია, ეთერი! — ახლავე... ისეთ საჭმელს მოგიტან! — ქალი სასწრაფოდ გაგარდა ოთახიდან.

მარტოდ დარჩენილი ირაკლი ისევ ფიქრებმა წაიღეს... უნდოდა გაეხსენებინა ის ამბავი, თუ როგორ მოხვდა ამ ოთახში... სიზმარივით ავგონდებოდა ის დილა, როცა თბილისის აჭრამულელებულ სადგურზე წნორისწყლის ზილით იყიდა და კახეთისაკენ გამოემგზავრა. დილით ადრე დაიძრა მატარებელი და მზე უკვე გადახრილი იყო, როცა ალაზნის ველზე გამოვიდა, ბოლო სადგურს მიადგა, ღონიერად ამოიხენემა და გაჩერდა.

ის იყო კიდევ ცაგონიდან გადმოვირდნენ თბილისიდან ირაკლისთან ერთად წამოსული სოფელი დედაკაცები, დიხვად გადმოვირდნენ ამ მხარეში მოვლინებული მუშაკები. სულ მალე ყველა თავის გზას გაჰყვა და სადგურის მიდამო ისევ სწრაფად დაცარიელდა, როგორც ხუთი წუთის წინ უცერად ხალხით აივსო.

ასხენდება ირაკლის ის დღე... ასხენდება ისიც, რომ თვითონ არსაით ეჩქარებოდა. ნელი ნაბიჯით გამოსწვია მან უცნობ გზაზე... ინტერესით გასცქეროდა მორიგულ მინდვრებსა და ჩალურჯებულ ტყეებს...

პირლის პირველი რიცხები იყო. ნუშები უკვე ჰყვოდნენ, მუქ-ყვითლად იცქირებოდნენ წვინდები ფერღობებიდან.

ოცდარი წლის წლის ბიჭი მოიყარა ირაკლი და საქართველოს ამ კუთხეში პირველად იყო. ამ მხარეში ის არავის არ იცნობდა. იქნებ ამიტომ აქაც უნდა არავინ შეხვდა, იქნებ შინ მოსული სტუდენტი ეგონათ, თორემ შეატყობდნენ, რომ ეს საშუალოზე ოდნავ მაღალი, მკვირვად ჩადგმული ყმაფილი, თეთრ-ყირმიზი სახით, ლურჯი თვალებით და ქერა ომით, მოკლედ შეკრტილი

ქერა ულვაშებით, შეინდისფერი ყელსახვევით, ეს უცნობი კაცი, სამზავროდ რომ იყო გამოწყობილი და ზურგზეც რუკაჯი ეკიდა — თითქოს დაბნეული იყო, აღარ იცოდა საით წასულიყო.

ავგონდება ირაკლის — რაკიათ უცნობთა შორის იყო, აღარც იმისი სცხვენოდა, რომ შალის შარვლი დაჭმუსხნილი ჰქონდა ვაგონში წოლისაგან და მის ფეხსაცმელსაც ეტყობოდა, რომ მათ ძალიან დიდხანს ატარებს თავისთი პატრონი ამ ქვეყანაზე. მარტო ფეტრის ქუდი ჰქონდა ახალი, კონტად ჩატეხილი ცით და ხატრისფერი ლენტით.

ბიჭი ნელ-ნელა გაჰყვა მანამდე უცნობ გზას. ავგონდება, ოციოდე ნაბიჯიც არ გაველო, რომ მსუბუქი მანქანა წამოიწია, მგზავრებმა ერთბაშად გადმოხხედეს მას ისეთი ინტერესით, თითქოს რაღაც საოცრება დაინახეს... ჯერ ის მანქანა თვალს არ მოჰფარებოდა, რომ ირაკლის სახედარი წამოიწია, გარდით-გარდით ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული და ხელში წკაპლით ათიოდე წლის გოგო მოსდევდა... არც იმ სახედარმა და არც გოგომ უნდაც არ შეხედეს მგზავრს, ისე ჩაუარეს და დაწინაურდნენ, ბოლოს ისევ მსუბუქი მანქანა წამოიწია, ამან კი რატომღაც სიჩქარეს მოუკლო და მის გვერდით გაჩერდა. ირაკლიმაც ნაბიჯი შეაწეა, ის იყო კახისის წინა კარიც გადო და მოფერმა სიტყვით კი არა, თვალებით ანიშნა, დაჯექო.

ირაკლიმ დაჰხედა აფილის კახინაში, შოფრის გვერდით, ახლად გადასხმული წითელი ღვინის წვეთებით რომ იყო მოჩითული, და საცოდავად გაეღომა... გაეღომა არა ამ ღვინის ლაქების გამო, რომელიც, ალბათ, უნებურად დაექცათ შექვიფიანებულ მგზავრებს, არამედ იმიტომ, რომ უცებ გაურბინა ფიქრმა: ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნად მარტო სტიპენდიის იმედზეა, მსუბუქი მანქანით მგზავრობას უნდა მოერიდოს. შოფერი თითქოს მიუხედა იმ იღვმალ ფიქრს, გაუღიმა და უთხრა:

— დაჯექი, თუ ძმა ხარ... ირაკლი აღარ გაინახა, რუკაჯი მოიხსნა, მანქანის უკან საგარძელზე მიაგო და თვითონ შოფრის გვერდით მოთავსდა.

შოფერი შექვიფიანებული იყო, თამაშით მიჰყავდა მანქანა, უცხო მგზავრის გასაცნობად მას დიდი ცერემონია არ დასჭირვებია. მაშინვე ჰკითხა:

— წიფლისწყაროში ვისთან მოდიხარ? — არა, მე იქ არ მოვდივარ... — მაშ სადა, ბიჭო, მითხარი, გზას არ აგაცდინო!

— მე ბაქური არა ვარ, — უბასუხა ირაკლიმ, — სტუდენტი ვარ... პრაქტიკაზე გამოგზავნეს... ჩემმა ამხანაგებმა გამომასწრეს და მე კი ცოტა შემავიანდა...

— რომელ სოფელში უნდა ახვიდე? — ფინისხევიში... — ჰოდა, აგრე გეთქვა... გედიქის ხეამდე მიგიყვან და მერე იქიდან სულ ახლოსა.

ათი კილომეტრიც არა ჰქონდა გავლილი, რომ ისინი უკვე კარგი ნაცნობები და თითქმის მეგობრებიც იყვნენ. ...ნეტავი ახლა ის ბიჭი აჩვენა ირაკლის.

გედიქის ხეთან, იმ ადგილას, სადაც მათი გზები იყრებოდა, შოფერმა მანქანა გააჩერა და ირაკლის უთხრა:

— ახლა ამ აღმართს დაადეცი, მერე ტყეს დაინახავ და იმ ტყეს დაჰყვები... მერე ბოსტნები დაიწყება და სოფელიც შეგება.

ირაკლიმ მადლობა გადაუხადა და ყასილად ჯიბისაკენ ხელიც წაიღო, მაგრამ შოფერმა ისე დაუტახტა, რომ შეტი აღარაფერი დარჩენოდა ხელი მაგრად უნდა ჩამოერთმია ახლად ნაშოფინი ძმაცაცისათვის და მერე გაჰყვოდა გზას, ტყეში რომ იკარგებოდა.

*** ტყე გათავდა და სადაც, ხის კენჭიერებს იქით, ბოსტნები გამოჩნდა. ეს ბოსტნები ერთი კუთხით სოფელში იყვნენ შეჭრილინი, მეორეთი — ტყეში.

პირლის მზის ნარგისიფერი სხივები უკანასკნელადლა მოეფინენ ხის კენჭიერებს და მერე სადაც გაჰქრნენ. მიდამო უფრო და უფრო მუქი ხდებოდა. ოდნავ შემგლისფერული იყო. კაცს ოც ნაბიჯზე კიდევ იცნობდა, მაგრამ იმაზე შორს ცნობა გაუჩრდებოდა.

ირაკლი ჩაფიქრებული მოჰყვებოდა გზას. თუმცა სჯობდა დადამებამდე დაინახებოდა, მაგრამ არც ამაზე უნდა დაეფიქრა — იცოდა თავის ამხანაგებს მონახავდა, და ერთი სიტყვით, ამ ვეება სოფელში არ დაიკარგებოდა.

სოფელში კი არა, ამ დალოცვილ საქართველოში, კაცი ტყეშიც არ დაიკარგებო.

ადამიანი გუმანით იგრძნობს ხოლმე, რომ მას დაიწინებთ უცქერიან. ახლოს ირაკლის, ასე დემარტა თვითონაც იმ დღეს. ჯერ რაღაცამ შეაფოთა, მერე განზე გაიხედა და სულ ნათლად დაინახა, რომ ვიღაც უცნობი დედაკაცი მას დაიწინებთ უცქეროდა ბოსტინდან, უცქეროდა ისე, თითქოს კაცი კი არა, ჯერ უნახავი და უცნაური არსება მოდისო. უცერად ის დედაკაცი აჩქარებით წამოვიდა მგზავრისაკენ, ბოსტინს შესაგულთან აფარებული ლასტის კარი კი არ ახსნა, გადაეხიჯა, ბალახებში გადააგდო, გამოიჭრა გზაზე და ირაკლის წინ გადაუდგა.


მოულოდნელობისაგან გატყუნებულმა ბიჭმა ფეხი შეაჩერა და დედაკაცს უაზროდ შეხედა. ის კი თითქოს იხრჩობოდა, ხმას ვერ იღებდა, ცეცხლოვითდებული თვალებით შესცქეროდა ბიჭს, აკვირდებოდა სახეზე, ქერა ულვაშებზე, შეინდისფერი ყელსახვევზე, ისე დაიწინებთ უცქეროდა, თითქოს ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ მის წინ ცოცხალი ადამიანი იყო და არა მოჩვენება.

ბოლოს, ალბათ, თავისი თავი რაღაცაში დაარწმუნა და ხმაც ამოიღო: — დახე, როგორ პირდაპირ შემომყურებს, ქა... არცა სცხვენიან... მიწა დაგეყაროს, ბიჭო, მაგ უტიფარ თვალებზე...

და მტრე ველარაფერი სთქვა, სიტყვა გაუწყდა, მერე უცებ კილო შეიცვალა: — როგორ მითხარი, შვილო რომ მოხვედი! შეგაწუხა განა, სინდისმა.

მენი ჰირიმი, შენი... რათ დაგვტახე, ბიჭო, ამდენი რათ გვალოდნენ, გენაცვალე!

ირაკლი გამტრებულვით იდგა, ხმა ჩაუვარდა, ვერაფერი სთქვა, გაოგნე-



ბული იყო. მას არაფერი არც დაუტანავს, არც ლოდინით დაუტანავს და, საერთოდ, პირველად ხელდავდა ამ დედაკაცსაც, ამ ტყუასაც და ამ ცასაც. მას ჯერ შემოიღო ეგონა ეს ქალი, მაგრამ მალე ელვასავით გაურბინა ფიქრმა, რომ ვიღაცაში აურიეს. ეს არ იყო ძნელი წარმოსადგენი: ჯერ ერთი, ამასობაში ბინდი უფრო განშორდა, და კაცი კაცს დაამსგავსა. თუმცა ჯერ არ ბნელოდა, თანაც ის „ვიღაც“, ალბათ, მგავსო, იფიქრა და გადასწყვიტა ეს გაუგებრობა გაეფანტა. ამიტომ დედაკაცს უპასუხა:

— დედი, თქვენ ვიღაცას მამსგავსებთ... და მე კი... მე პირველად გხედავთ. მე ის არა ვარ... მე...

მაგრამ დედაკაცმა აღარ დააცალა, გამწარებით დაიკრა მუხლებზე ხელი და სიტყვა გააწყვეტინა:

— მე ის არა ვარო, ხალხო... გაიგონეთ, — მიმართა ხალხს, თუმცა ირგვლივ კაცის ჭკუანება არ იყო, — მე ის არა ვარო, ამ სასიყვილოდ... — და მერე ირაკლის მოუბრუნდა — მიწა დაგეყაროს, ბიჭო, ლადო, პირქვე დაიმარხე, რომ ვეღარც ამ წუთისთვის დედაკაცს იმ ქვეყანაში აი ამ ლურჯად გადაწყვეტილ ცას ვეღარ შეხედო... ვეღარ გაიხარო... მაგრამ სადღა წამიხვალ, სად?

დედაკაცმა კიდევ ერთხელ შეხედა მის შინდისფერ ყელსახვევს. ის არის... ის... სახე კარგად აღარ ახსოვს, მაგრამ იმისა ეს ქვერა ულვაშები, ეს ფეტვრის ქუდი, იმისა ეს სიარულიც. ძლივს იპოვნა და ახლა თავს დაანებებს? ამიტომაც უბრძანა:

— ეტარე! მიგატრე შენი და იმ ცრემლით თვალამოწმვარ გოგოს რომ დაინახავ, მაშინაც შეიძლებს ეგ მიწით ამოსავსები ენა-პირი ამოთქმას — მე ის არა ვარო!

აგონდება ირაკლის ის წუთები... გაოგნებული იყო, თითქო ცუდ სიზმარს ნახულობდა და ცდილობდა გააღვიძებოდა. შუბლზე რაღაც ცივი ჩამოუცურდა, იგრძნო, ოფლის წვეთი იყო, ხალათის სახელოთი ჩამოიწმინდა... ვინ დაეკარგა ამ დედაკაცმა? ვინ ეძებს? ვინ არის ის ლადო და რათ მამსგავსეს ის სტუდენტ-პრაქტიკანტ ირაკლის, რომელიც თავის გზაზე მიდის?

— დედი, — მე ლადო არა მქვია... მე ირაკლი ვარ... — და დაბნეულმა ბიჭმა ჯიბე მოიქექა, თითქოს პასპორტს ეძებო, მაგრამ გააფთრებულ დედაკაცს აღარა ესმოდა-რა. ბიჭს თითქმის ძალად მიათრევდა. ბნელ ორბობეში. ირაკლის ყოველ სიტყვაზე დედაკაცი ისევ ენთებოდა, იწყველებოდა, იმუქრებოდა, ვიკივლებოდა, სთვლიდა შედარება და აქვე ჩაგაქვედებოდა. და ირაკლიც შეკრთა — ვაი, თუ მართლა დაუძახოს ხალხს, მათ კი იქნებ გვარიც არა ჰკითხონ, ისე ჩაჰქოლონ, — ნეტა რა დააშავა იმან, ვისაც მიამსგავსეს... დედაკაცი გაუთავებლად ლაპარაკობდა, მაგრამ ირაკლის გერაფერი გაგო, გარდა იმისა, რომ თურხე თვითონ ყოფილა (ეს დადგინდ არ იცოდა) სიტყვის გამტეხი, შარავნის ყაჩაღი, და თანაც... ჰოი, საოცრებაც, პატიოსანი ბიჭი, რომ ბოლოს მაინც შეაწუხა სინდისმა და დაბრუნდა...

მისდევდა ირაკლი დედაკაცს, მისდევდა როგორც რქებში თოქანბმული ხარი, რომელიც სასაკლაოზე მიჰყავთ. გრძობდა კი, რომ რაღაც საშინელი გაუგებრობის მსხვერპლი ხდებოდა. სხვა დროს სასაცილო იქნებოდა ეს ამბავი, მაგრამ ახლა — არა, ირაკლი სიცილის გუნებაზე არ იყო. ალაღ-მართალ კაცს, ძალათი, ტყუილობრალიონ რაღაც საშინელ დანაშაულში აღებდნენ, სხვის მძიმე ცოდვას ჰკიდებდნენ ზურგზე, დედაკაცი კი მოსთქვამდა, რომ მართო ის ერთი გოგო ჰყავს ექვანაზე, ტანჯვით ეარდებილი, მამით ობოლი, უძმი გოგოა. ნუთუ იმისთვის ეკვებოდა თავს ოცი წლის განმავლობაში, რომ ვიღაცს გადაეთელა და მერე მიეგო. გოგოს ეს ორი წელია თავი ვეღარ გამოუყვანა გარეთ, თითის სარქველად გამხდარა მთელ სოფელში — ნიშნს უტეხენ, აპა, ხომ დაუფრინა ბედი გამჩენმა, აქაური ბიჭები რომ აითვალისწინა და ვიღაც უცნობს გაჰყავო.

ესმოდა ყველაფერი ეს ირაკლის და მაინც ვერაფერი გაეგო. ერთი იმედი მაინც ბუტყავდა გულში — აი მივალთ შენი და ყველაფერი გაირკვევა, დედას თუ ვერაფერი მივახვედრე. მისი შინაურები მაინც გამოიგებენო, ესღა ამხნევენდა თვითონაც გაოგნებულ, შეწუხებულ და დაბნეულ ბიჭს. ორბობე გათავდა. დედაკაცი ჭიშკარს რომ მიადგა, შეაღო და ბიჭიც თან შეიყვანა. ეზოში ორსართულიანი სახლი იდგა, ავიანი ელექტრონით იყო გაჩირღუნებული. დედაკაცმა მაშინვე დაიძახა:

— ეთერი! სადა ხარ გოგო! მოდი, გამოიქეცი, გენაცვალე! შენი დაკარგული კაცი მოვიყვანე...

ოთახიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა... აი ეს ქალი, ახლა თავს რომ დასტრიალებს ავადმყოფს... მან ჯერ ირაკლის გადახედა გოცუბით... მერე დედას, ნელ-ნელა შეიკმუნა წარბები, სახე აელანა და ბრავით წამოიძახა:

— დედა, რას სჩადიხარ, რას... რა გინდა ამ ადამიანისაგან... რაზე მოიყვანე...

— მამაკით ბატონო! რაღაც გაუგებრობაა, — წამოიძახა ირაკლიმ და ახლაც ახსოვს, თავისუფლად ამოისუნთქა, მიხვდა, რომ გაუგებრობა უკვე გაფანტული იყო. ახალგაზრდა ქალს ხშირი წამწამები უთრთოდნენ და სანახევროდ ფარავდნენ მის თაფლისფერ თვალებს. ელექტრონის შუქი ბზინავდა და ციალებდა მის ხშირ თმებზე, ბულთლივით რომ ეღდა თავზე. ის ღარტყვნილი და დაბნეული იყო.

ბიჭმა უცრად ფეტვრის ქუდი მოიხადა, ისევ დაიხურა, რაღაც საჩქაროდ დაეშვა კიბეზე და ორბობეში გაიჭრა... სინათლიდან სიბნელებში გასულმა უცებ გერაფერი დაინახა, შეჩერდა იმიტომ, რომ თვალის გასწვრივ და უნებურად ესმოდა როგორ უწყრებოდა შვილი თავის დედას, როგორ იმართლებდა ის თავს... ახსენებდა ფეტვრის ქუდს, შინდისფერ ყელსახვევს. ქალი კი უმტკიცებდა, რომ ასეთი ფეტვრის ქუდი და ასეთი ყელსახვევი თბილისში ათი ათასზე მეტ კაცს აქვს და ისღა მაკლია ყველანი შინ მომგვაროს. მერე ირაკლიმ თავქვე გასწია, მაგრამ ვეღარ გაიხსენა საიდან მოვიდა... ალაღებულე გაჰყავა გზას.

ფიქრები ირეოდნენ თავში და თვალწინ როგორც მოჩვენება ისე ეღდა ელექტრონის შუქში გაბრუნებული ავიანი, და მასზე დარტყვნილი, ამ აპილივით კეთილად აყვავებული და გაფურჩქნული ქალი, რომელიც მას რატომღაც ბოდიშს უხდოდა. ირაკლიმ სწორედ აი ის ქალი დაინახა წელან, იმ წუთში, როცა ნისლი გადაეყარა თვალებიდან... მერე ის ქალი სადღაც წავიდა, სადღაც დაიკარგა ეთერი და ბიჭს აღარ ახსოვდა რამდენი ხანი ელის მას, უცრად ოთახში ეთერი შემოვიდა, ხელში თეფში ეჭირა და ზედ რაღაც საქმელი ეწყო, ირაკლიმ ვერც გაარჩია რა იყო და აღარც დააკვირა. ქალი მოუახლოვდა და სასთუმალთან ჩამოუჯდა, მერე ირაკლიმ მისი ხმაც გაიკონა!

— რამდენი დღის მშვიდი ხარ, ბიჭო, აიღე რამე... ირაკლიმ დახედა და ახლავა შეამჩნია, რომ ქალს შემწვარი წიწილა შემოეტანა. მაგრამ მადა არა ჰქონდა.

— არ მინდა! ვერაფერს ვერ ავიღებ, ეთერი!
 — არა, უნდა სჭამო. მე თვითონ გაჭმე. შენ ახლა ავად ხარ... ხოლო ავადმყოფს არა ჰკითხავენ.
 — პირიქით, ეთერი, სწორედ ავადმყოფსა ჰკითხავენ ხოლმე. და ირაკლიმ ისევ დახუჭა თვალები.
 მაგრამ ქალი აღარ მოეშვა, თვითონ აურჩია ნატრები, გააღვიძა ერთი-ჩაბი ნებული ავადმყოფი, თავისი ხელით მიაწოდა საქმელი და როცა თავისი საქმე გათავებულად ჩასთვალა, ისევ გარეთ წავიდა.
 ავადმყოფი ისევ მარტო დარჩა და ისევ წელანდელმა ფიქრებმა აიყოლიეს.

...ავადმყოფს კვლავ ის ღამე გაახსენდა, როცა ეთერი პირველად დაინახა. ბიჭი შეტყუებული გამოვარდა სახლიდან და ორბობეს დაჰყვა. აფორიაქებული იყო. ამ მოულოდნელ შემთხვევამ სულ გზა-კვალი დაუბნია. ირგვლივ აპრილის თბილი ღამე ჩამომდგარიყო, გააღვიძა ერთი-ჩაბი ნებული ავადმყოფი, თავისი ხელით მიაწოდა საქმელი და როცა თავისი საქმე გათავებულად ჩასთვალა, ისევ გარეთ წავიდა.

ერთ ხანს ისევ უთავბოლოდ იხეტიალა ორბობებში და უცრად ჩიხში მოექცა. ვიღაცის სახლის წინ ათი „პობედა“ და სამი „ზიმი“ იდგა. იმ სახლიდან საკვირველი ქრამული იხმოდა, ეზოში აუარებელი ხალხი ირეოდა, მაგრამ დაშინებულმა ბიჭმა — კიდევ არაფერს გადაეყარო, სასწრაფოდ ჩაუარა იმ სახლს და ისევ უცნობ ორბობეს გაჰყვა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ორსართულიანი შენობას წააწყდა. პირველი სართულისთანავე იგრძნო, რომ ეს საცხოვრებელი სახლი არ უნდა ყოფილიყო. მთელი ეზო ელექტრონის შუქს გაებღვავებულია და იმ შუქზე ჩანდა ეზოში დაედებული საბარგო ავტომანქანის ძარა, ბორბლებმომხსნილი და გაძარცვული, შორს ბუნდოვანად ლურჯი ტრიერიც ჩანდა, ეტყობოდა ისიც ხმარებიდან გამოსული და მტკიცებული. იმას იქით საწყობები იყო და ირაკლი უცებ მიხვდა, რომ ის კოლმეურნეობის კანტორის ეზოს წააწყდა.

სტუმარმა გულდაგულ გასწია კანტორისაკენ, კიბე აიარა და ავიანდა ავიდა, ფანჯარაში შეიხედა და ნათურის შუქზე შეამჩნია, რომ შეგინა ოთახში ვიღაც ნაბადში გახვეულ კაცს ეძინა. ოდნავ, გაუბედავად დააკაკუნა ფანჯარაზე.

მძინარემ წამოიხედა, ნაბადი გადაიხადა, მოსული ჯერ ფანჯარასთან შეათვალა და მერე კარიც გაუღო; ირაკლი ოთახში შევიდა და მიხედ-მოიხედა. ფანჯარასთან საწერი მაგიდა იდგა, მაგიდაზე კი საავიაციო მინისაგან გამოქრული კრემლის ყველა მაკეტი იდგა... ლალის ხუთქმიანი გარსკვლაფი ბრწყინავდა მაცხოვრის კოშკზე და იმავე მინისაგან გამოქვილი წითელ მოედანზე მავზოლეუმი აღმართულიყო.

ამან თუ მოსტაცა ბიჭს თვალი და ის იყო მოსუცი დარაჯის ხმაც შემოესმა: — ვინ გინდოდა, ძვირფასო ამხანაგო! — მორიდებით კითხულობდა ის. მოსუცი მიჩვეული იყო მოვლინებულთა ხშირ სტუმრობას და აღარ გაჰკვირვებია, რომ უცნო კაცმა ამ შუალამისა შემოალო კარები.

ბიჭი კი დაბნეული იყო. — იცი, ძია... ბოდიში, თქვენი სახელი? — ისკოს მეძახიან, შეილო! — ჰო, ძია ისაკო! მე თბილისიდან ჩამოვიდი... — თბილისიდან ბევრი ჩამოდიან... შენ ის მითხარი, რომელი სამინისტროდან ხარ? თორემ თბილისი ძალიან დიდია. გუშინწინაც იყვნენ... ფერებები უნდოდან ენახათ... შენ რა ხაზითა ხარ ჩამოსული, შეილო!

— მეც მაგ ფერების საქმეზე ვარ, ძია! თავმჯდომარე მინდა ენახო! — და მოსუცი წუთით ჩაფიქრდა, — თუმცა ეგებ შეიძლება... სად არის ახლა ის იცი? ქორწილის თამადად არის... თავის მოფერს ჯვარსა სწერს... აგერ, ხომ გესმის რა ამბავია? — და მოსუციმ ყური მიუჯდო. აპრილის ღამე მართლაც რაღაც უცნაური ქრამული იყო სავეს და ირაკლის უცებ ის ეზო გაახსენდა, სადაც ჭიშკართან მანქანები იყო ჩამწყვრიებული.

მოსუცი კი განაგრძობდა: — აბა, შეილო, მე პოსტს ვერ დავტოვე, და შენ თუ გინდა, წადი, პატარა ბიჭს დავუძახებ და გამოგაყოლებ... ეზომდე მიგიყვანს... იქ აუარებელი ხალხი ირევა... ეტყვი თავმჯდომარე მინდა-თქო. თამადა, აბა რა თქმა უნდა, გარეთ არ გა-მოგა და შეგინთ გამოვიძახებ... შენც რა გეღარდება, დროს გაატარებ და საქმე სად გაგეცევა, დილაზეც, მოასწრებ... — არა, ძია ისაკო! აქ დავიცი... — შენი ნებაა, შეილო...

ირაკლიმ რუკვაკი თავქვე ამოიღო და ისიც თავმჯდომარის კაბინეტში წამოწვა. დაიხინება სცადა, მაგრამ ისევ აფორიაქებული იყო, რომ ძილი არ მიეკარა. ფიქრობდა, ხან ეცინებოდა იმ უცნაურ დედაკაცზე, ხან ეცოდებოდა იგი.

სოფლიდან კი იღუმალი და გაურკვეველი ხმაური ისმოდა და ხმაურს დროდდრო ძალები ყვივით ეხმარებოდნენ. ძილგატეხილი ბიჭი ავიანზე გამოვიდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭდილი. საათს დახედა, ვერ გაარჩია ხეირიანად, მოეჩვენა, რომ სამი საათი იყო და ისევ საძილედ განემხადა.

ძლივით მოვიდა. დილით მან ვერც გაიგო როდის მოვიდა თავმჯდომარე. ახლად გაბრუნებულმა ნეფემ, მისმა შოფერმა ის ქორწილიდან პირდაპირ აქ მოიყვანა.


ირაკლიმ მას ყველაფერი აუხსნა. თავმჯდომარემ უთხრა, რომ მისი ამხანაგებ ყველანი იგრის სამოვრებზე წავიდნენ, ხო-





წულუკიძის, სამტრედიისა და წყალტუბოს რაიონები ძველთაგანვე განთქმულია თუთის ხეების სიმრავლით. მაგრამ აქ, მათხოვეში, მზრუნველი და კარგი მოვლის მეშვეობით თუთა ტყესავით მოელო ყველაფერს და ისე გვიჩვენება ადამიანს, თითქმის მათელს სოფელს ზურმუხტოვანი აბრეშუმის კარავი გადასურვოდეს თავს. მჭიდრო რიგებად მოუყვებიან მისი ნარგავები მდინარის ნაპირებს, ამარაულან გზების ორივე მხარეს, ჩამწკრივებულან ყანების მიჯნათა გასწვრივ. ისინი გარს ეკვრიან სახლებს, მოედებიან ბაღებსა და ხეივანებს.

როცა მე სკოლის ახლოს მდგარ ბავშვებს შევეკითხე, სად არის ბარაბაძის სახლი-მეთქი, წკრიალა ხმებმა მიპასუხეს: სადაც ყველაზე ბევრ თუთის ხეს დიანახათ, დეიდა ნინო იქ ცხოვრობსო.



ნ. ბარაბაძე კვებავს აბრეშუმის ქიებს.

და ამაყად დაუმატეს: მისი ქალიშვილი თამარი კი ჩვენი მასწავლებელიაო.

როცა ნინო ბარაბაძისას მივედი, გახურებული მუშაობა მიმდინარეობდა, ეს იყო მეტად საზეიმო და მასთან სტუმრის მისაღებად უხერხული მომენტი. ის-ის იყო, თესლიდან გამოიჩქერენ შავ-მურა ფერის პაწაწინა არსებანი, რომელთა განაწილება დიდი სიფრთხილით ხდებოდა ნათელ და თბილ ბინაში.

ორი დღით ადრე ნინოს ქმარმა—86 წლის გიორგიმ, არაუგის არ ანდო ეს საქმე და თვითონ გაახურა ღუმელი, გამუდმებით ამოწმებდა თერმომეტრს. მრავალი წლის გამოცდილებით იცოდა გიორგიმ, რომ ნინო საესებით დაპყარავდა შვებასა და მოსვენებას, ლუქმასაც აღარ ჩაიდებდა პირში, თუ რაიმე უწყსრივობა აღმოჩნდებოდა იმ ოთახში, სადაც აბრეშუმის ჭია ჩაატარებს სამკვირიან კვებას. თუ ნინომ თქვა — ტემპერატურა უნდა იყოს 27 გრადუსი, ხოლო ჰაერის ტენიანობა — 75 პროცენტით, გიორგი სწორედ ასე უზრუნველყოფს — არც ერთი გრადუსით მეტი ან ნაკლები.

სულ სხვა საქმეა, როცა აბრეშუმის ჭიის თვითულ ასაკში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვითული ძილის შემდეგ, როცა ის მაღლა ააღერს თავს, და შემდეგ ფერს იცვლის, ნინოც ცვლის რეჟიმს. პირველად ტემპერატურა 26 გრადუსი უნდა იყოს, ტენიანობა კი 70-75 პროცენტი, როცა მოდის პარკის ახვევის დრო და ჭიები მოუსვენრობას გრძნობენ, იწყებენ ხეტიალსა და მილოდავენ ზევით, ტემპერატურა 22 გრადუსამდე უნდა იქნას დაყვა-

ნილი, ხოლო ჰაერის ტენიანობა 65 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.

მეაბრეშუმეთა ოჯახებში მოსვენება აღარა აქვთ არც დღისით, არც ღამით. წამდაუწყებ უნდა კვებით აბრეშუმის ჭია, ნინო ამზობს, პირველსა და მეორე ასაკში პატარა ჭიები დღეში ათჯერ უნდა გამოიკვებოს, უმჯობესია თორმეტჯერ, ღამით კი — ხუთჯერ. მესამე ასაკში დღისით ათჯერ, უკიდურეს შემთხვევაში ცხრაჯერ, ღამით — ოთხჯერ, და როცა ისინი საესებით წამოიზრდებიან — კვება უნდა შემცირდეს, დღისით საჭიროა კვება ექვს-შვიდჯერ, ღამით — ორჯერ.

როგორც ცნობილია ჭიას აბრეშუმის ფოთლით კვებვენ, ნინო ყოველთვის მკაცრად კითხულობს: როდის დაკრიფეთ ეს ფოთლი? აბა მაჩვენეთ, დღით მოკრეფილი ხომ არ არის? ნამმა ხომ არ დაასველაო?

და ტყუილბრალოდ როდი იქცევა ასე, ამისთვის მას მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებანი გააჩნია. დღისით, მზის ცხოველყოფილი სხივების ზემოქმედებით აბრეშუმის მწვანე ფოთლები ღებულობენ საკვებ ნივთიერებს. ღამით კი ეს ძვირფასი თვისებები ეკარგებათ. ასე, რომ მოწინავე მეაბრეშუმეები, რაც უნდა დალოდები იყვნენ მთელი დღის მუშაობის შემდეგ, ძალ-ღონეს მოიკრებენ და საღამოს დაწყებიდანვე პირველ ვარსკვლავთა აციმციმების დროს კრეფენ ფოთოლს. მაშინვე, ღამით, ნინო ბარაბაძე და მისი მოწაფეები ჯულიეტა უგულავა, რუსიკო ბარაბაძე, სამედა კირთაძე, ნანული გალდავაძე, მარო ცაგარეიშვილი, ოლღა მიქაძე, ნადია რუსაძე და სხვები სველ ტილოზე თხელ-თხელ ფენებად გაშლიან ფოთოლს და ზვიდან გადააფარებენ ოდნავ დანაშულ ტილოს.

არიან რამდენიმედ სხვა ხერხის მომზარენიც. ფოთლებიან რტოებს ინახავენ წყლიან ჭურჭლებში — სარდაფებში ან სხვა გრილ ადგილას.

აბრეშუმის ჭიას უნდა ჰქონდეს საკმაო ფართობი. ნინო ბარაბაძე ამტკიცებს, რომ პირველი სამი ასაკის ჭიას საჭიროა 35-40 კვადრატული მეტრი ერთ კოლოფ თესლზე. აბრეშუმის ჭიით სასვე ერთი თარი რაც შეიძლება მოშორებით უნდა იდგეს მეორისაგან. პარკს მნიშვნელოვანდ მეტი წონა ექნება და ხარისხიც უკეთესი. მათხოვეში, წულუკიძის, წყალტუბოს, ქუთაისისა და სამტრედიის რაიონების სხვა სოფლებში ნინოს მრავალი მოწაფის ყოველწლიური შედეგები თვალსაჩინოდ ადასტურებენ ამას.

მხოლოდ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბარაბაძემ ეს საქმე ცარიელ ადგილზე წამოიწყა მისი — საუცხოო მიღწევები რაღაც მოულოდნელობის ანდა მარტოკა მომუშავის შეცარი აღმოჩენის შედეგი როდია.

ერთხელ მათხოვეში ჩავიდინე მეაბრეშუმეობის ქუთაისის ზონალური საცდელი სადგურის თანამშრომლები. მათ განაცხადეს, რომ ამზადებდნენ დიდ შრომას ბარაბაძის გამოცდილების შესახებ. ნინომ ითხოვა ორი შეკითხვის ნებართვა: იცოდნენ თუ არა პატივცემულმა სტუმრებმა, რომ ხონის ყოფილი მზარის სოფლებში — კუხში, გუბსა და გოჩაჯიხაიში არსებობდნენ მეაბრეშუმეთა კოოპერატიული ამხანაგობები. ის ჩამოაყალიბა სასოჯადო მოღვაწემ ნესტორ წერეთელმა. პირადად ის, ნინო, თოთხმეტი წლის გოგონა სწავლობდა დედამისის — მამო შვანგირაძისაგან. მცოდნე ადამიანები უნდა იცნობდნენ მეაბრეშუმეობის ოსტატთა ამ ოჯახს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბიდან.

— შარშან, — განაგრძობდა ნინო, — დედაჩემი უკვე 90 წლისა იყო, მაგრამ მაინც არ შეუშვია ხელი ჩვეული საქმისათვის. გასაკვირია, საიდან პოულობდა ძალ-ღონეს.

— დაიხ, რასაკვირველია, — სიამოვნებით დაეთანხმნენ სწავლული მუშაკები, — ომერელ მეაბრეშუმეებს დიდი ხნის ტრადიციები აქვთ. კარგი ოსტატები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ პატივცემული ნინო ნიკოლოზის ასული არ შეგვედავება იმაში, რომ წინათ აბრეშუმის ჭიის გამოკვება თვე-ნახევარს გრძელდებოდა და ერთ კოლოფ თესლზე, მოსავლიან წელიწადში, ცხრამეტ-ნახევარ კილოგრამ პარკს ღებულობდნენ. ასლა ამ საქმეს წარმატებით ართმევენ თავს 22-23 დღეში, და 70-80 კილოგრამი პარკი ერთ კოლოფზე არც იმდენად კარგ შედეგად ითვლება.

— ამას ოსანა აივაზაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ, — შეესიტყვა ნინო.

— თანახმა ვართ, ეს საქმე აივაზაშვილმა წამოიწყო, ხოლო მომდევნო წლებში რამდენი ახალი რამ შეიტანეთ თქვენ პირადად, რაოდენ დაოსტატდით!

და სწორედ ამ ოსტატობისათვის, თავისი ძნელი საქმისადმი ამ მხურვალე სიყვარულისთვის უკვე სამჯერ ზედიზედ ირჩევენ წულუკიძის რაიონის მშრომელები ხანდაზმულ უპარტიო გლეხქალ ნინო ბარაბაძეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ი. მუხაკია

ნ. ბარაბაძის ოჯახი (მარცხნიდან)—ნინო ბარაბაძე, შვილი თამარი, შვილიშვილი ნინო და მეუღლე გიორგი.





საავადმყოფოდან დარეკეს, სოფელ საფშეთში უბედური შემთხვევა მოხდა, კოლმეურნეობის მწყემსი დათვა დაგლოჯა და სასწრაფოდ ექიმს იბარებენო.

ახლად გაშლილ სფერას ლენინგორის რაისაავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმები უსხდნენ.

ცნობამ ყველა დააღონა, მაგრამ ასეთი გამოძახება პირველი არ იყო.

ექიმი შოთა ნაცვლიშვილი თამალობა სხვას გადაულოცა და თვითონ საავადმყოფოსკენ გაეშურა, რათა მორიგისათვის დაწვრილებით გამოეკითხა ამბავი.

— კორინთამდე მანქანით ივლით, იქ ცხენებს დაგახვედრებენ. ავადმყოფი ნახევრადუგრძნობ მდგომარეობაში ყოფილა, ჭრილობა სახისა და თავის არეში ჰქონია, — აჩქარებით მოახსენა მორიგემ მთავარ ექიმს და პირველი დახმარების ჩანთა მიაწოდა.

ჭრილობა თავში... ვინ იცის, შეიძლება ვერც ჩაუსწროს.

— ცოტა ჩქარა! — უთხრა შოთამ მძღოლს.

გზა ცუდი იყო. სამანქანოდ კი არა, ზოგან საურმელადც ვერ ივარგებდა. სულ მთა-გორები, ხევები, ალა და დაღმა... მაგრამ მაინც „ჩქარა, ჩქარას“ გაიძახოდა შოთა. ყოველი წუთი ხომ ძვირად ღირდა ახლა დაჭრილი მწყემსისათვის, მისი მშობლებისათვის, კოლმეურნეობისათვის.

ღებურას მხრიდან მუქი ღრუბლები წამოიშალნენ და ქსნის ხეობაზე შავი ნაბადივით ლამობდნენ გადაფარებას.

ნეტა კი არ იწვიმებდეს! — თავისთვის თქვა შოთამ, ისე რომ გზისთვის თვალს არ მოუშორებია. შემდეგ მძღოლს შეხედა — შენ, ძმაო, როგორ იქცევი, თითქმის დღეს პური არ გეჭამოს, ცოტა იჩქარე!

მძღოლს გაეღიმა და სიჩქარე გადართო.

შოთა ნაცვლიშვილი (მარჯვენა) და გელაძე ოპერაციის დამთავრების შემდეგ



— რას იტყვი, იწვიმებს?

— რა ვიცი, ღმერთისას რას გაიგებ! — იხუმრა მძღოლმა.

შოთას კი სრულებით არ ეხუმრებოდა. წვიმა აშინებდა, ატლახებულ ბილიკზე გაძნელებოდა სიარული. მაგრამ ბედმა გაუღიმა, ციდან ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა.

კორინთაში ექიმს ორი ცხენოსანი შემოეგება. ორივეს დაღვრილი სახე ჰქონდა, მაგრამ ექიმი რომ დაინახეს, მაინც გაეხარდათ და მაშინვე მისკენ წამოვიდნენ.

— გამარჯობა, ექიმო!.. ამ ცხენზე შეგექვ, დაგენაცვლე! — ოსურად მოუქცია ერთმა მათგანმა და შოთას შეკამათული უღაყი წინ მიუგდო.

— ნაჩვევი ხარ ცხენზე? — შეკადრა ახლა მეორემ, მაგრამ პასუხს აღარ მოუცადა, რადგან შოთამ ელვის სისწრაფით გაუყარა ფეხი უზანგში და ცხენს მოახტა.

გააკენეს...

დაზარალებულის სახლთან შოთას ისეთი ტირილი ჩვილის ხმა შეესმა, რომ გულმა რეჩხი უყუო, ვითუ ცოცხალს ვერ ჩამოვუსწარიო. უმაღლე დაქვიეთდა.

ავადმყოფი ტახტზე დაწვინათ. სქელი საბანი ეხურა და პირისახე თეთრი დოღბანდით ქონდა შეკრული. უძრავად იყო, არც ხმას იღებდა, მაჯაც სუსტად უტემდა.

შოთამ დამხვედურებს სთხოვა გარეთ გასულიყვნენ, თვითონ ხალათი გადაიცვა, კარი ფართოდ გააღო, რომ შუქი შესულიყო ოთახში და ჭრილობა დაკვირვებით გასინჯა. მარცხენა წარბის საწყისიდან თითქმის საფეთქლამდე ახელი ჰქონდა სახის კანი. შუბლისა და ცხვირის ფუძის მიდამოში ძვალი იყო ჩატენილი. ჩანდა, დათვის თათი შემოერტყა ახალგაზრდა მწყემსისათვის. ბასრ ბრჭყალს კი ძვალი ჩაეტეხა. ამას გარდა მცირე ჭრილობა აღმოაჩნდა მკლავზე და ფერდში.

შოთამ პირველი დახმარება აღმოუჩინა ავადმყოფს, მშობლები დააიმედა, შემდეგ გარეთ გამოვიდა და ლასტისაგან სახელდახელოდ შეკრული საკაცე შეამოწმა.

დღე გაიცრია, როცა საფშეთიდან გამოვიდნენ. საკაცე ხელით მოჰქონდათ. ექიმს ცხენზე შეჯდომა თხოვეს, მაგრამ მან იუარა, ფეხით გაჰყვა.

— დროზე მივასწარი, დაგენაცვლე... ყვირილზე იქით გავიქეცი და რას ვხედავთ: დათვი ძროხას ეჯაჯგურება. ისაკი კეტს უშენს. უცებ დათვმა წამოიწია და ისაკს ეცა. უკანა თათებზე შემდგარმა ისე შემოაჭრა, რომ ბიჭი უგონოდ დავარდა მიწაზე...

ამას თითქმის ჩურჩულით ყვებოდა გამყოლი.

კორინთაში რომ ჩამოვიდნენ უკვე ბნელი იყო. შოთამ ბრძანა, ავადმყოფი მანქანაზე მარჯვედ მოეთავსებინათ, თვითონ კი საბჭოს შენობიდან ლენინგორში მორიგე ექიმს დაურეკა, რომ საოპერაციო მოემზადებინათ, გამოეძახათ ია გიორგობიანი და რანუს ამიროვი.

მგზავრება მშვიდობიანად ჩამოვიდნენ მთიდან. ავადმყოფმა ერთი ორჯერ წამოიკვნესა.

დაჭრილი მწყემსი პირდაპირ საოპერაციოში შეიყვანეს..

* * * ვინ იცის იმ დღეს მერამდენიმე ოპერაციას აკეთებდა ახალგაზრდა ქირურგი შოთა ნაცვლიშვილი. მან 1948 წელს დამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

მაშინ ჩვენი ქვეყანა ვოლგა-დონის სანაოსნო არხს აშენებდა. კომუნისტური მშენებლობის ამ უზნისაკენ მიპყრობილი იყო საბჭოთა ადამიანების გულისყური. შოთასაც გულმა იქით გაუწია.

მშენებლობის ცენტრი — დონსკაია.

ახლად კურსდამთავრებული ექიმი მშენებლობის სამმართველოსთან არსებულ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში დაინიშნა.

— შენ ჩემი ასისტენტი იქნები! — უთხრა მას პირველივე გაცნობისთანვე ქირურგმა პავლე სილვანოვმა.

შოთას ესიაშენა საავადმყოფოს მთავარი ქირურგის მშობლიური კილო და სიყვარულით შეხედა. მის წინ მაღალი, ხმელ-ხმელი და ოდნავ წელში მოხრილი მამაკაცი იდგა. თვლებში სიხალისე და სიცოცხლე უღვავდა. ის იყო და ის, იმ წუთებიდან მამასავით შეუყვარდა შოთას ეს ჭაღაროსანი ექიმი. პავლე მიტიჩსაც შეუყვარდა მუყაითი ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი.

— ხომ გინდა კარგი ქირურგი იყო! ჰოდა, თუ გინდა, უფრო გაბედულად აფათურე ხელი საოპერაციოში! — უთხრა ერთხელ შოთას პავლე მიტიჩმა.

მართლაც, ეს გაბედულება თანდათან გამოუმუშავდა შოთას. თითქმის ყველა იოლსა და რთულ ოპერაციებს ესწრებოდა, ეხმარებოდა ოპერატორებს, აკვირდებოდა მათი ხელების მოძრაობას.

მუშაობის დაწყების სამი თვის შემდეგ ქირურგმა სილვანოვმა შოთას აპენდექტომია შესთავაზა. შოთამ შეშა იგრძნო და გამოცდილ დოსტაქარს მადლობით შეხედა.

პირველმა ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა. შოთა აღელდა. მხოლოდ ახლა მიიჩნია თავი დამოუკიდებელ ქირურგად და მასწავლებლისაგან შექებას მოელოდა, მაგრამ ცივი წყალი გადაესხა. შექების ნაცვლად პავლე მიტიჩმა ეს უთხრა: აი, როცა კუჭის რევექციას გააკეთებ მაშინ ვილაპარაკო.

კუჭის რევექცია... ნამდვილად დამცინისო, გაიფიქრა შოთამ. მაგრამ რომ არ დასცილოდა, იქიდანაც ჩანდა, რომ იმ დღიდან მოყოლებული თითქმის ყოველდღე ანდობდა შოთას მცირე ოპერირებას. საავადმყოფოსთან არსებულ სასწრაფო დახმარების პუნქტში კი თვეში ათჯერ ნიშნავდა მორიგედ, მაშინ როცა სხვა ექიმებს ორი, ან სამი მორიგეობა უწევდა. შოთა დაუფარებლად ამართლებდა მასწავლებლის ამ დიდ ნდობას.

და აი, მუშაობის ერთი წლის შემდეგ, სამსახურში გამოცხადებულ შოთას სილვანოვმა დაუძახა და უთხრა: ხვალ კუჭის რევექციას გააკეთებო.

ახალგაზრდა ქირურგის გული მოულოდნელად გაივსო სიხარულითა და დაკისრებულ ამოცანისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით. ამხანაგების ქათინაურები და მიტქმა-მოტქმა კი იმდენად ამაღლდებელი აღმოჩნდა, რომ შოთა შეკრთა. მაგრამ უკანდახევას ჩვეული არ იყო.

და ამ გამოცდამაც წარმატებით ჩაიარა.

* * * გამარჯობა, ექიმო! — მიესალმა მთავარ ექიმს საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა, რომელსაც თავი თითქმის სანახევროდ ბანდით ჰქონდა აკრული.


ეს მწყემსი ისაკ ღრიავეი იყო. ახლა იგი ჯანმრთელად გრძნობდა თავს და საავადმყოფოს ეზოში სეირნობდა.

— როგორ იყო, ბიჭო, დათვის რომ ეძგერე! — შეეხტევა ისაკს შოთა და ხელი ჩამოართვა.

— მამ საქონელს იმას შეგვაჭმევდი? — ჩილაპარაკა ისაკმა და თავი ჩაღუნა.

ამ დამორცხვებაში ექიმისადმი აღძრული სიყვარული გამოსჭვავდა.

უზ. ზარაკიძე




ოთარაანთ ქვრივი

ჟურნალ «დროშის» ამ ჩანართზე ებეჭდავთ ახალგაზრდა მხატვრის თეიმურაზ ყუბანიშვილის მიერ შესრულებულ ილია ჭავჭავაძის «ოთარაანთ ქვრივის» ილუსტრაციებს.



გიორგი




გიორგის ნაცვდა



თორაანთი ქვრივი არჩილთან და კუხოსთან სტუმრად



დღეობა.
შახატი ტიტულუსთვის



დედა და შვილი



არჩილი და კესო

1888 წ.



შოღოსართი



საერთაშორისო ფეხბურთი

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებმა უკანასკნელ ხანებში რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს.


ჩვიდმეტი დღე დაჰყვეს ირანში ამიერკავკასიის სამხედრო საოლქო კლუბის ფეხბურთელებმა. არმიელებმა სამი შეხვედრა ჩაატარეს ირანის უძლიერეს გუნდებთან და სამივე თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, საერთო ანგარიშით 9 : 3.

ივნისში ორი საერთაშორისო შეხვედრა ჩატარდა თბილისში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისის პროფესიულმა გუნდმა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“. ეს გუნდი ინგლისში უძველესი და პოპულარულია. ინგლისელებმა თამაშის მაღალი კლასი უჩვენეს და დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვება.

სამაგიეროდ, თბილისის დინამოელებმა მშრალი ანგარიშით დამარცხეს რუმინეთის რესპუბლიკის ქალაქ სტალინის „დინამოს“ ფეხბურთელები.

რუმინელთა ახალგაზრდა მეკარე უცუმ თავისი რისკიანი თამაშით ბევრჯერ იხსნა კარი გოლისაგან. მაგრამ... უფრო ბევრჯერ გამოიტანა კარიდან. აი, ახლა მესამე ბურთის გაშვების შემდეგ, იგი ხელჩაქნეული დგას კართან, თითქოს ფიქრობდეს: „სულ ერთია, დავდგები თუ არ დავდგები კარში, ბურთები მაინც გადის“. ასეც მოხდა. მატჩი რუმინეთის ქ. სტალინის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის დამთავრდა 4 : 0, ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით.



თამაშის მომენტი ქართველ და ირანელ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.



ინგლისელ ფეხბურთელებს ჰქონდათ თავიანთი „თილისმა“. თბილისის დინამოელებთან მათ ითამაშეს იმ ბურთით, რომელიც „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ გუნდთან „მონაწილეობას იღებდა“ ინგლისის თასის ნახევარფინალებში და ფინალებში.

„სასარგებლო დამარცხება“, ასე უწოდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა უფროსმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ მატჩს ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონისა“ და ქართველ ფეხბურთელთა შორის.

ეს მატჩი მართლაც სარგებლობას მოუტანს ჩვენს ფეხბურთელებს, თუ მომავალში ისინი გაითვალისწინებენ ყველა თავიანთ უარყოფითსა და ინგლისელ სპორტსმენთა ყველა დადებით მხარეს.

უმრავლესობა იმ მასურებლებისა, რომლებიც ხსენებულ თამაშს არ დასწრებია, იტყვის, რომ ამ ფოტოზე აღნიშნული მომენტი, ალბათ, გოლით დამთავრდაო, მაგრამ ბ. ხასაიას ხელი შეუშალა მეკარე სანდერსის ზუსტმა და სწრაფმა ნახტომმა. ასევე ზუსტად და სწრაფად თამაშობდა ინგლისელთა გუნდის ყოველი ფეხბურთელი, რამაც მათ გამარჯვება მოუტანა — 3 : 0.



თბილისის გარეუბნებში გასეირნებისას, ყოველ ხელსაყრელ მომენტში, ინგლისელი ფეხბურთელები კოკეტს თამაშობდნენ. ესეც კარგად ჰქონდათ „დაცდილი“ მატჩების წინ.



ქვიშაზე მაკაბი

საქართველო
საბჭოთაო



ორვე ღვეპაქაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ქ. მახარაძე

IV.

ჩემი სამუშაო ოთახის კარი ღია დამიხვდა. რწმუნებული ბოლთასა სცემდა.

— მალობა ღმერთს კიდეც ცოტა და ჭკუიდან შევიშლებოდი, — წამოიძახა, როგორც კი დამინახა და თავისუფლად ამოისუნთქა.

მივხვდი, რომ რაღაც საგულისხმო ამბავი უნდა ეთქვა რწმუნებულს, პალტო და ქუდი კაჩანზე ჩამოვიდე და საწერ მაგიდას მივუჯექი.

მაწვალე: თავმჯდომარესთვის ნაადრევად მიცემულ სიტყვებზე ფიქრი, ვითუ ეჭვი ბოშებზე არ გამართლდეს და თავი მოგვეჭრას-მეთქი.

— რა მოხდა? ჭკუიდან რად უნდა შეშლილიყავი? — ვკითხე რწმუნებულ პირტახას, რომელიც ისე შემომცქეროდა, თითქოს პირველად მხანაოდა, მართლაც, საფუძვლიანი იყო მისი გაკვირება ასეთ დროს, როცა ყოველ წუთს ახალ-ახალი, მოულოდნელი ამბების მოტანა შეეძლო, ასე ჩაფიქრებული ვერ არ ვენახე.

— ბოშათა მომღერალ გუნდში ოთხთთა მამაკაცი აღმოჩნდა...

თითქოს რულმოვიდებულს ცივი წყალი გადამახსნესო, გამოვერკვიე. სწრაფ ამომვარდა გონებიდან თავმჯდომარე, მიცემული სიტყვა, ყველა, ყველაფერი და გაშლილი ოთხთთა ხელი დამიდგა თვალწინ.

— მერე? — აღმოჩნდა ჩემდაუნებურად, წამოვვარდი და პირტახასკენ ისე გავიწიე, თითქოს თვალბეში უნდა ჩაეუჭირო.

— კონტრტორის სიტყვები გამართლდა, ის მართლაც ბოშათა გუნდის „ბულბული“ აღმოჩნდა, — რწმუნებულს დავუთხარი, ჯობიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, — ისინი სრულ ათ საათზე გამოვიდნენ სახლიდან.

— ვინ ისინი? რომელ სახლიდან? — გავაწყვეტინე სიტყვა და ვლადიმერიც მიხვდა, რომ შე არც იმ სახლისა ვიცოდი რამე და არც მათი, ვისზედაც პირტახა ლაპარაკობდა.

— ბო, მართლა, — თითქოს დარცხვენილმა გაიღიმა და განავრძო, — შე ვერ არ მითქვამს, რომ ის ბოშა, თავისი ტანმალაღი ამხანაგით, ორჯონიძის ქუჩაზე ცხოვრობს, მნ ნომერში.

— და სწორედ ის არის? ოთხთთა? — ვკითხე მოუთმინლად.

— დაბ, ის არის, ბიჭებმა მისი გარდერობის დათვალეობაც კი მოახერხეს და ლაბადასაც მიაგნეს, იმას, ჩვენ რომ ვეძებდით, სარჩული ზედაპირივით რომ აქვსო გამოყვანილი, ხოჭოსავით შავი, პრიალა.

სიხარულისაგან აძვრებულ გული საგულეში არ ეტოლდა. რწმუნებულს გადავხევიე და ვაკოცე.

თაფლისფერთვალევა ვაქაცამა ჩაიცინა და წამოვდა, მაგრამ მე ის ისევ დავსვი და მაგიდას მივუჯექი, რომ გულდასმით მომესმინა ამ სასიხარულო ამბის თვითული წვერილმანი.

ვლადიმერ პირტახა ისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში წითელი არმიიდან მოვიდა, ამ ჯანაინა, ჩასხმულმა ახალგაზრდამ, თავისი ენერგიითა და გულწრფელობით, ნახვისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ერთხელ პირაპირ შევხვდით შეიარაღებულ ბანდას. შემთხვევით ჩვენთან პირტახა იყო. შეტაკების დროს მან ისეთი ვაქაცაობა და თავდადება გამოიჩინა, რომ ყველა გავაკვირვა. გადავწყვიტე, ჩემს ჯგუფში გადმომეყვანა სამუშაოდ. ამის შემდეგ გვერდიდან არ მომ-

შორებია ეს გონებასხვილი, ენაწყლიანი ჯმუხა ვაქცაძე.

— თითი? — შევეკითხე სულმოუთქმელმა.

— მარჯვენა ხელზე ერთი თითი დაუხრავს.

— როგორ დადგინდა ასე ჩქარა ყველაფერი.

— ეგ რა არის ყური დამიგდე; მათი მისამართი ბიჭებს ფილარმონიაში დაუდგინათ. ერთი მათგანი ელექტრომონტიორის სახელით შესულა შუქგამორთულ სახლში და საკიდარზე თავისი თვალთ უნახავს ლაბადა, პრიალა სარჩულით.

— ყოჩაღ, ბიჭებო! მერე?

— მერე... — პირტახამ სულმოუთქმელად მიამბო, თუ როგორ მიაგნეს ოთხთთას და მის ამხანაგს, ძალზე მაღალ მამაკაცს ბოშას. ეს კაცი უნდა ყოფილიყო, კარს რომ ურდული გაუყარა და ხატი ჩამოხსნა. მაღალს — სერგეი სტასს ეძახდნენ, ოთხთთას, — ბორის საიდოვს. მესამე, რომელიც ტაძართან ქუჩაში უნდა აღგარიყო, არ ჩანდა.

„ელექტრომონტიორის თქმით“ საიდოვისა და სტასის ჩაწითლებული თვალები და დაღლილი სახეები აშკარად მეტყველებდნენ, რომ მათ ღამე არ ეძინათ. დილას ათ საათზე სადგურის ქუჩიდან პლენანოვის ქუჩაზე გამოსულთ გეზი ჟორის ქუჩისკენ აულიათ. სტასს პატარა ჩემოდანი სჭერია ხელში, ისეთი, როგორსაც სპორტსმენები ატარებენ, ეს ჩემოდანი გაქათათებულ თეთრ ქსოვილის შალითაში იღო თურმე. შალითაზე წითელი ძაფით ფრთავაშლილი არწივის გამოსახულება არის ამოჭარბული, პლენანოვის ქუჩაზე 114-ე ნომერი სახლის მეთხე ბინაში შევიდნენ ისინი, — მიამბობდა პირტახა და მალ-მალე ჩაიხედავდა ხოლმე კაბრაში, რომელშიც მეთვალყურეთა ჯუმლები ეწყო. — ამ სახლში დიღხანს არ დარჩენილან. — განავრძობდა რწმუნებულს. — ბოშები ისევ პლენანოვის ქუჩაზე გამოჩნდნენო, მაგრამ უჩემოდნოდ, ერთს ჩვენთაგანს, რომელიც ეჭვმიტანილებს ახლო მიჰყვებოდა, მათი ლაპარაკისთვის მოუკრავს ყური. პირტახამ კაბრიდან ქალაქის ფურცელა ამოიღო და სტრიქონებს ჩაჰყვა:

„მოსკოვის დროით“? — შევეკითხა სტასი ამხანაგს.

— დიან, მოსკოვის დროით, ექვს საათზე, ამ დროს ჩვენც სადგურზე უნდა ვიყოთ, მაგრამ ახლოს არ უნდა გავეკაროთ, იცოდე“ — უბასუხა საიდოვმა. ბოშებმა ჟორის ქუჩისკენ განავრძიეს გზა. პლენანოვის ქუჩაზე ფოსტის შევიდნენ. მეორე სართულის დარბაზში სარკმელს მიადგნენ. საიდოვმა დებუშის ბლანკი გადასცა ფოსტის მოხელეს.

„ხარკოვი მთავარი ფოსტამტი, მოთხოვნამდე.

ბერნარდ კაგრიგას.

ოცდასამ თებერვალს გამოვემგზავრე. შემხვდი. კეოსნი. ნადეჟდა“.

ეწერა ბლანკზე.

ფოსტის შენობიდან გამოსულნი, ისე მივიდნენ ბინამდე, რომ არავინ შეხვედრიათ.

პირტახამ კაბრა დაეცეცა და მაგიდაზე დადვა.

— მორჩი? — შევეკითხე და იმაზე ფიქრმა გამიტაცა, თუ რას ნიშნავდა ჩემოდანზე გამოსახული ფრთავაშლილი არწივი.

ერთ ხანს ნახვერაღმოჭუტული თვალებით დავცქეროდი კაბრას, მერე, როცა ბოროტმოქმედთა ოინებში გარკვეულმა თავისუფლად ამოვისუნთქე და რწმუნებულს მშვილდად შევხვდი, მან მითხრა:

— და იქ, — პირტახამ კაბრას გა-

დახვდა, — კიდეც მათი გარეგნობა და განსაკუთრებული ნიშნებია აღწერილი.

— პლენანოვის ქუჩაზე, მესათხთხმეტე სახლს თუ მიუჩინეთ მეთვალყურე? საჭიროა დადგინდეს ვინ ცხოვრობს ამ სახლის მეოთხე ბინაში...

— დამშვიდებული იყავი. ყველაფერი გაკეთებულია. — ჯუმლების კაბრა ავიღე და ბოშების გარეგნობის აღწერას თვალი გადავახვე.

„ბორის საიდოვი, საშუალო სიმაღლის, ჩასხმული აგებულების, მრგვალი, შავგერმანი სახე. დაბალზე შეცრეცილი, ნახშირივით შავი უღვაში. შავი, მოუსვენარი ფართო თვალები. თხელი მოგრძო ცხვირი. სქელი, ოდნავ გაშლილი ტურნები. ხშირწარბებამდე დაყრილი შავი, ხუჭუჭა თმა. ლაპარაკობს ბონი ხმით. ოცდაათი წლის კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. შავ კოსტუმზე შავი დრახმის პალტო აცვია, თეთრი პერანგითა და თეთრწინწყლებიანი წითელი ყელსახვევით, შავი კეპი ახურავს. მარჯვენა ხელზე ყავისფერ ხელთათმანს არ იშორებს. (ალბათ, იმიტომ, რომ შუათითი აკლია).

სერგეი სტასი: მაღალი. წელში ოდნავ მოხრილი. ფიწრო გულ-შეკრდი. გრძელი სახე. მოქალაქე, სქელი უღვაშები თხელ ქვედა ტურნს უფარავს. ფართო, ცისფერი თვალები. არწივისებური ცხვირი. მელოტი. ლაპარაკობს ოდნავგასაგონი წვრილი ხმით. თუ ბორის საიდოვი მოურიდებელი, დარღმინდი



გაგრძელება. იხ. ქურნ. „დროში“ № 5.

ჭყარი — სვანეთ-სამეგრელოს ხედი

ეროვნული
დაცურების


ჯვარი არ გვეგულება ქართველი კაცი, რომ მთიანი სამეგრელოს ერთ-ერთი დიდი სოფლის ეს სახელი ეუცხოოს. ჯვარი ძველთაგანვე ხიდად გადებულა ორ ძმას შორის — სვანეთსა და სამეგრელოს შორის. სვანი სანატრულ მარილს ვერ აიტანდა თავის ოჯახში, თუ იგი ჯვარის მიწაზე ფეხს არ დაადგამდა და მაგანას ხიდად არ გაივლიდა. მეგრული მწყემსი საძოვარზე არ გავიდოდა ან უსამართლობას გამოქვეყნებდა, ტყეში არ გაიზინებოდა, თუ ჯვარულ ნაბადს მხრებზე არ მოიგდებდა. ნაბადი ხომ უცნაურად მსუბუქი „სადგომია“ კაცისა, ცასა და მიწას რომ მიწოდებდა, ტყესა და შორეულ გზას რომ გასდგომია, უკაცრიელ ველ-მინდვრებს თავის ჯოჯოხანს რომ შემოიბილებოდა. აი ეს ნაბადი — სახელგანთქმული ჯვარული ნაბადი ითვლებოდა დასაბამიდან ჯვარული გლეხკაცის ქონში. ახლაც ხელი არ აუღია ჯვარულს თავისი მამა-პაპის ამ ხელობაზე, თუმცა დიდი განსხვავებით — მის კეთებაში ახლა უკეთესი ტექნიკა და მაღალი კულტურაა შეტანილი. როგორც ყოველ ძველ სოფელს, ჯვარსაც ჰქონდა წარსულში ხალხში გასული დამახასიათებელი ღირსებებისა და ნაკლოვანებების გამოხატვები, ეგრეთ წოდებული კინებებითა — ჯვარული კაციაო, რომ იტყუოდნენ ძველად, შედარებით კულტურული ბარის სოფელს წარმოუდგებოდა ნახევრად ველური კაცი. ჯვარი თითქოს ბარს მოწყვეტილი, უგზობით ან

ფორის, ველსა და ორმელეთს, ჭუბერსა და ენგურის ხე-ტყის დაცურების სხვა უზნებს თვინათი მამაცი ადამიანებით წელიწადი შეაქვთ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა მძიმე გზა გაუვლია ნიკოლოზ აფაქიძეს — ხაბაზობიდან ინიკრობამდე, ხე-ტყის დამცურებლიდან დაცურების უფროსობამდე!

როცა ხე-ტყის დამზადება-დაცურებაზე ლაბარაკობ, არ შეიძლება არაფერი თქვა მორღამჭერებზე, ეგრეთ წოდებულ რეიდზე, ჯვართან რეინის კბილანებით რომ უხვდება და „რეინის ხაფანგში“ რომ ამწყველეს მანამდე სტიქიას მიწოდებულ მორებს, რომლის მისამართია: — სამშობლო, ხარაჩოები! ამ რეიდის ნამდვილი მამაცი გმირები არიან ჯვარელები, ხოლო ამ რეიდის მეთაური ინიკრობი ემტინი ბოლქვაძე და მაკარი აკობია რეიდის დაპროექტებასა და მის მშენებლობაშიც იღებდნენ მონაწილეობას. ამჟამად ისინი ხელმძღვანელობენ რეიდის მეორე რეიდის მშენებლობას, რომელიც უახლოეს ხანში დამთავრდება.

ეს ჯვარის სოციალისტური მაჯისცემის მხოლოდ ერთი უბანია. შევიხედოთ ახლა თვით განახლებულ ჯვარში, თვალთ მიმოვავლოთ მის ცენტრს, საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს, მის ადამიანებს. ჯვარი თავისი ეკონომიური სიძლიერით, მისი კულტურული ცხოვრებით არა მარტო წალენჯიხის რაიონშია განთქმული. ჯვარში — მთის ამ სოფელში, დიდი ხანია შეიჭრა შუქი განათლებისა. გამოცდილი პედაგოგები ხელმძღვანელობენ ჯვარის ოთხ საკოლაში შეიღასი მოსწავლეს — ჯვარულ კოლმეურნეთა შვილების კომუნისტურად აღზრდის საქმეს. ჯვარში სულ ერთი წელია აშენდა სკოლის ახალი შენობა, მაგრამ სოფელმა ეს იცოტავე და ახლა შენდება საშუალო სკოლის ახალი ტიპური შენობა. სოფელს აქვს კეთილმოწყობილი კლუბი. აქ გლინდება ნიჭიერი ჯვარელი ახალგაზრდობის სასცენო ნიჭი, მათი მიმზიდველი თვითმოქმედება. კლუბში ხშირად წარმოადგენენ ცეკვა-სიმღერებს, პიესებს, ისმენენ ლექცია-მოსხენებს. სოფელში დამკვიდრდა კინო, რადიო, ტელეფონი. სოფელი გაჩირადინებულია ილიჩის ნათურებით. სოფლის კულტურულ ცხოვრებას ემსახურება ორი ბიბლიოთეკა ხუთი ათასზე მეტი სახელწოდების წიგნით.

სოფელში კულტურას ამკვიდრებს შეძლებული ცხოვრება. საკოლმეურნეო შრომამ სოფელი წელში წაშარა. სოფლის ორივე კოლმეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა ჩაი. მოწინავე მეჩაიეებს მოჰყავთ უხვი მოსავალი. ჯვარის კავანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ერთ-ერთმა ბრიგადამ, რომელსაც ალექსანდრე ჭანტურია ხელმძღვანელობს, პექტარზე სამი ათას ორასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა. წინათ აქ ჩაის კულტურას ვინ ასხენებდა! ახლა კი ჩაი სხვა კულტურებთან ერთად კოლმეურნეთა შეძლებულობის წყარო გახდა. მარტო ბუჯა გეთიას ოჯახმა, გარდა ნატურისა, გასულ სამეურნეო წელს თხუთმეტი ათას მანეთამდე ფულად მიიღო. მეორე — სტალინის სახელობის კოლმეურნეობას თოთხმეტი წელიწადია სათავეში უდგას თავმჯდომარეობის 25 წლის სტაქის მქონე, საზოგადოებრივ შრომაში გამოცდილი მუშაკი ბაჭუ ჭანტურია. იგი თავისი ორი ძმით — ანდრონიკით და არსენით — საკოლმეურნეო შრომის ვეტერანია. ანდრონიკე — საეკონომიკო შოტქეიკი, წალენჯიხის მაღეცკოვის სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. არსენა კი ორ ათეულ წელზე მეტი ხანი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, იგი ახლა სხვა ბასუსხაგებ სამუშაოზეა — სახერხი ქარხნის დირექტორია. კოლმეურნეობაში, რომელსაც ბაჭუ ჭანტურია ხელმძღვანელობს, შრომადღევე მარტო ფულად თხუთმეტი მანეთი დარიგდა.



სოფელ ჯვარის ხედი.

სახიფათო გზებით მთებში ჩაკარგული, უსინათლო და პრიმიტიული ცხოვრებით ჩაბნელებული სოფელი იყო.

გავიგონიათ ლეგენდარული არამხეტუ? — ეს მეგრული ამირანი, ადამიანის მფარველი და დევებთან მარკინალი, სვანეთიდან ზათით მოვარდნილი ენგურის შუაგულში ჩარჭობილ ლაბამაზე, ჩვენებურ, ზღაბრულ შუბზე დაყრდნობით რომ გადახტომია მთელ ხეობას და მის მიერ გაღმა-გამოღმა მთების კალთებიდან ცერით ნატყორცნი უზარმაზარი ლოდებით მუსრი გაუვლია კაცთმოძულე დევებისათვის...

ჯვარულს ჰქონია მდიდარი ფანტაზია, რომ ასეთი გმირის ლეგენდა შეუქმნია. ეს ხომ ჯვარელის მისწრაფების გამოხატვები ლეგენდაა. ჯვარულს სურდა მისი სოფლის წიაღიდან წარმოშობილიყო კაცთმოყვარე გმირი ბოროტ სულთა მუსრის გამგებელი. ჯვარული გლეხის ქონში დაიბადა და გაიზარდა ჩვენი გუმინდელი „არამხეტუ“, რაინსტაგის გმირი მელიტონ გარალამის ძე ქანთარია — რუს თანამოიარაღებთან ერთად მიწასდანარცხებულ ფაშისტური ურჩხულის თავზე წითელი დროშა რომ აღმართა.

ჯვარი ცნობილია თავისი ძველი გიორგობისთვის ბაზრობით. იგი ცნობილია თავისი ჯოჯოხით, მდიდარი ბუნების წიაღში აღზრდილი მამაცი მეჯოგეებით, ბოროტარ ენგურთან შენაბრებით მეთივებით — წყულეტი შეკრული ფიჭვების მორებით რომ მიაპობდნენ ენგურის ტალღებს, არად ავდებდნენ ენგურის ქორომებსა და ჩანჩქერებს და გრძელი ორთაყვარის მარჯვე მოქნევით ხან ოდიშისკენ, ხან სამურზაყანოსკენ უქცევდნენ პირს სვანეთის მთებიდან ჩამოხრეგილ და ანაკლიისკენ, შავი ზღვის ნაპირისკენ გეზმიცემულ ხეტყეს.

იშვიათად თუ სადმე ბადალი ჰყოლია მამაც ჯვარულ ცხენოსნებს ისინდა და თარჩიაში, მარულასა და ჯირითში.

ეს მამები. მაგრამ მამაცობის ტრადიციას შეიღებოც არ დალატობენ და ამ მამაცობას თვინათი საბჭოთა სოფლის სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის ბრძოლის სიმამაცეში ავლენენ. დღევანდელი ჯვარი სულ სხვა სოფელია. ახლა აქ გაყვავები სახელს იხვეჭენ ცხენოსნობაშიც, მეჯოგობაშიც, საკოლმეურნეო მიწასთან შეჭიდებაშიც, თვინათი მშობლიური სოფლის სახელობის დიდ გზაზე გატანაში. ისინი სვანეთის ტყეებში ფიჭვსა და ურთხმელს, ნაძვსა და წიფელს, მუხასა და წაბლს სჭრიან, ენგურს უერთებენ და ხან ჯორგებად, ხან კი ტივებად აცურებენ, რომ ბარში მშვიდობით ჩააღწიოს საქაღალდე მერქანმა, მშენებლობის სახარაჩო მასალებმა.

ხე-ტყის ტივებად და ჯორგებად დაცურების ოსტატებს ნიკო აკობიას და შალვა შონიას, სევერიან ხარჩილავას და პლატონ უბილაგას, გრიგოლ აქუბარდიას და ვლადიმერ ბაჭკორიას, არდევან აკობიას და დავით ჯოლოხავას თვინათ მრავალ თანამომეებთან ერთად ცოტა როდით ახსოვთ ენგურის სტიქიით გამოწვეული განსაცდელი, რამდენჯერ ფეხქვეშ გამოუცლია ენგურის ტალღებს მათთვის ჯორგე, მაგრამ კვლავ მუუბოჭავთ მორები ტალღებთან მამაცური შებრძოლებით და ხე-ტყე სამშვიდობოს გაუტანიათ. ზიფათით აღსაყვება სამდინარო გზა ლატალიდან ენგურის ქაღალდის კომბინატამდე. ლატალსა და ხუმ-

ენგურის ხეობა.



ახალი არქეოლოგიური გათხრები თბილისში

თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, კიროვის სახ. რაიონში.

სამუშაოები პირველად შავთელის დაღმართზე წარმოებდა. შემდეგ ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, ხოლო გასული წლის ნოემბრიდან დაწყებული იქნა გათხრები ერეკლე II სახ. მოედნის ბაღში, სადაც ამჟამად გრძელდება სამუშაოები.

შავთელის დაღმართზე, ვიწრო თხრილში გათხრებით აღმოჩენილი იქნა აგურიტ აგებული XVII ს. საკანალიზაციო გაყვანილობა, რომელიც თბილისში მიწისქვეშა უძველესი ნაგებობის ერთ კარგ ნიმუშს წარმოადგენს.

ანჩისხატის ეზოში გათხრებით აღმოჩენილი იქნა ქართული აგურიტ აგებული აკლამები და ქვასამარხები XV-XVIII სს, რომლებსაც ქვეშე მოქცეული იყო აღრეული პერიოდის კულტურული ფენები. სწორედ ამ ფენაში იყო, აგრეთვე, აღმოჩენილი ანჩისხატის ეკლესიის უძველესი შემკულობის ტუფის ქვის ფრაგმენტი (VI-VII სს).

ერეკლე II სახ. მოედნის ბაღის ტერიტორიაზე გასათხრელი ფართობი 700 კვ მ უდრის. აქედან უკვე გათხრილია 350 კვადრატული მეტრი, ე. ი. ბაღის ტერიტორიის ნახევარი. გათხრილ ნაწილში კულტურული ფენების სისქე 3,5 მეტრია, ხოლო ორმოების ადგილას ფენები ზედაპირიდან ხშირად 7 მეტრამდე ჩადის. გათხრებით დადგენილია, რომ ბაღის ტერიტორიაზე ოთხი პერიოდის ფენაა სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებით.

პირველი ფენა XIX-XX სს თარიღდება, მეორე — XVII-XVIII სს, მესამე IX-XIV სს, ხოლო მეოთხე ფენა — IV-VIII სს.

პირველი ფენა მოედნისა და ბაღის მოწყობა-მოსწორების ხარჯზე წარმოდგარი. იგი ნაყარი გრუნტებიდან ახალი წარმონაქმნი და ნაგებობის არაერთი ნაშთებს არ შეიცავს.

მეორე ფენაში გვხვდება ერთი დიდი და ორი მცირე ზომის ნაგებობისა და ცალკე წყალსადენის განმანაწილებელის ნაშთები, ხოლო მათ გარშემო რიყის ქვიტა და ქართული აგურიტ მოკირწყლული მოედნის ნაშთები. ეს ფენა როსტომისა (მეფობდა 1632-1658 წწ.) და მისი მომდევნო დროის ქართველი მეფეების სასახლის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებს წარმოადგენს. მესამე ფენა ნასახლარებს და თიხის ჭურჭლებს დასამზადებელი სახელოსნოების ნაშთებს შეიცავს. აქვეა აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლების დასამზადებელი ქურის ნაშთები და ამ წარმოებასთან დაკავშირებული ღრმა ორმოები.

მეოთხე ფენა გათხრილ უბანზე ფრაგმენტალურადაა წარმოდგენილი. ამ ფენაში აღმოჩენილია თეთრი თიხის თხელკედლიანი რამდენიმე ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის ფიბულების ნატეხები და აქატის ქვის საბეჭდავი, წვერიანი ადამიანის პორტრეტული გამოსახულებით (III-IV სს).

ერეკლე II სახ. მოედნის ბაღში სხვადასხვა დროის კულტურულ ფენებში 3000 ცალი არქეოლოგიური ნივთია აღმოჩენილი. მათ შორის დიდ ყურადღებას იმსახურებს, აქამდე უცნობი, IX-X სს მოჭიქული ჭურჭლისა და მინის ნაწარმის უნიკალური ნიმუშები და სხვ.



მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმისმატიკური მასალა. ვერცხლისა და სპილენძის სხვადასხვა დროის ასამდე მონეტა, IX-XIX სს, კარგად ათარიღებს კულტურულ ფენებს, ხოლო მათი ხშირი განაწილება გეგმაში ფულის დიდი ტრაილის დამამტკიცებელი ერთ-ერთი საბუთთაგანია აღნიშნულ საუკუნეებში.

ამ ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა თბილისში მეტად საინტერესო და საყურადღებო მასალები მოგვცა. გათხრები ბაღში გრძელდება, იმედია ამის შემდეგაც ექსპედიცია ბევრ ბაღში გრძელდება.



ექსპედიციის ხელმძღვანელები **ი. გპელიაშვილი** და **ტყეშელაშვილი**

გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რომელიც IX-XI საუკუნეებს მიეკუთვნება.



რაიონის სიამაყე


ქალაქ მახარაძიდან 15-16 კილომეტრის მოშორებით ბუქის თვალწარმტაც ხეობაში აგებულია ახალი ელექტრო-სადგური ბუქუჭესი. იგი შეიქმნა ხუთწლიანი პირველი ელექტროსადგურის რესპუბლიკაში. მისი სიმძლავრე თორმეტი ათას ორას ორმოც კილოვატს უდრის დღეღამეში.

სანამ ჰესის სამივე აგრეგატი მუშაობას დაიწყებდა, რაიონის მშრომელებს მეტად ძნელი და

საპასუხისმგებლო მუშაობის ჩატარება მოუხდათ. მაგრამ ისინი მართო როდი იყვნენ, მათ გვერდში ედგათ ჩოხატაურელი და ლანჩხუთელი კომპიუნტები, აქ პრაქტიკას გადიოდნენ და მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ახალგაზრდა ჩინელი ინჟინრები ჯოულუნ-კუნი და იუ იან-ძინი.

მთის მარდი მდინარე ბუქუა ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ჩადგა, საქართველოს

ენერგოსისტემას ახალი ძალა მიემატა.



ლაქი მესნიერი ქალი

ზაპიდათ მაჰომედბეკოვა შორეული ავარიის სოფელ ხუნძანდანაა. როდესაც მან მახაჩყალის ინსტიტუტში სწავლა დააწყებდა, სოფელში მიტემა-მოთქმა დაიწყო: „გაფუჭდა ახალგაზრდობა, თორემ სწავლა აბა რა ქალის საქმეა“. ეს იყო ოცი წლის წინათ. ენერგიულმა, მონდომებულმა ახალგაზრდა ქალმა არავის უგდო ყური, წარმატებით დაამთავრა სას-



წავლებელი და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია სწავლის გასაგრძელებლად. ზაპიდათმა წარმატებით ჩააბარა ასპირანტურაში მისაღები გამოცდები და სამი წლის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს წინაშე შესანიშნავად დაიცვა ხარისხი თემაზე: „ახვასური ენის მორფოლოგიის ძირითადი კატეგორიები“.

ქალაქ მახაჩყალაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ ზაპიდათი დაბრუნდა თბილისში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, კავკასიურ ენათა განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად დაიწყო მუშაობა.

ნიჭიერი მეცნიერი ქალის ნაშრომებიდან ყურადღებას იქცევს გამოკვლევები, რომლებიც ხუნძანური, ახვასური და კარატული ენების სტრუქტურას შეეხება.

ამჟამად ზაპიდათ მაჰომედბეკოვა ამზადებს კარატული ენის მონოგრაფიულ მიმოხილვას.

აქ იბადება ახალი მოღელი

ქალის, მამაკაცის თუ ბავშვის ტანსაცმლის მრავალი საუკეთესო ნიმუში დამზადებულია საქართველოს მოდელების სახლში, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც არსებობს. აქ შექმნილი მოდელები მასიური წარმოებისათვის ეგზავნება საქართველოსა და სომხეთის ფაბრიკებს.

ორიგინალობა, სიხალე, ტექნოლოგიური სიადვილე, აი რითი ხასიათდება აქაური მოდელები, რომელთა შექმნაში დიდი წვლილი შეაქვთ მხატვარ-

მოდელიერებს: ანა და თამარ კალანდაძეებს, ევგენია ჯავაშვილს, ეკატერინე ატაინას, ანა რუხაძეს, ზინაიდა კარასოვას, ვლადიმერ სუნიშვილს.

მოსახლეობის ფართო მასებისათვის სახლის კეთილმოწყობილ სადემონსტრაციო დარბაზში კვირაში ორჯერ ეწყობა ახალი მოდელების გამოფენა, რომელზედაც დაახლოებით ორმოცი-ორმოცდაათი ფასონის დემონსტრირება ხდება.

მოდელების სახლი ხშირად აწყობს გახვლით სენსებს

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, აგრეთვე, ფაბრიკა-ქარხნებში, კულტურის სახლებში, პარკებში.

სურათზე: ბავშვის ტანსაცმლის ახალი მოდელების დემონსტრირება.



ისტორიული კონსტრუქციები

გან კვლავ ძველი რამ არის სახელად... კაცობრიობის კულტურის უწყვეტი განვითარება...

განე მართა ვაყარკო უწყვეტად სამართლებრივ ქართულ მეფეობის ახალგაზრდა ეპოქის ერთ მთავარს... მსოფლიო მშენებლობის (არქიტექტურის) ხანა და როგორც მუდამ მნიშვნელოვანი საქართველო...

საქართველოს სასაბურთო მუშევრები იწყებენ სამედიცინო რეალურ კლასში... რომელიმე ნაწილი სასაბურთო მუშევრებისა...

სახელის გათავისება რომის ნაწილსა... ახალი კლასი ქართულ სამართლებრივ კულტურის განვითარებაში...

ბ. ვადალიანი
ფოტო: დიდიკარი ენის ბინჯის ხალა ღვთაება - შის მხედრის გამოსახულება.

რედაქტორი გრ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: მ. გვირიტი (პ/მე. მდივანი), ი. გვირიტიშვილი, ს. ლდრისიძე, მ. ხაჯიშვილი, ი. ტაბაღაძე, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯგერაძიძე
სამ. კ. ცინცაშვილი კომპიუტერის გამგეობის მდიანი
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. № 42, IV სართ.
რედაქციის მუშაობის მასალები ავტობუსით არ გამოდის.
საბანო:
სარედაქციო კოლეგია: მ. გვირიტი (პ/მე. მდივანი), ი. გვირიტიშვილი, ს. ლდრისიძე, მ. ხაჯიშვილი, ი. ტაბაღაძე, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯგერაძიძე
მხატვარ-რედაქტორი ზ. ლეჟა ტექნორედაქტორი ბ. სვიანიძე
თელ. - რედაქციის და მ.მ. მდივანის - 3-52-69, ვაჟა-ფშაველას - 3-85-88.
გაზეთის მუშაობის მასალები ავტობუსით გამოდის ფოტორეპროდუქციის ხელშეწყობით.
18/VI-57 წ. გამომცემი: 24 90 ქალ. ზარი 70 X 108/16, 1.5 ტელ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4.11. ტრიაჟი - 15.000. გვერდების № 312, რეკ. 01251.
Еженедельный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дროა“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
აღებული სიტყვის კომპიუტერული მართვა, მარჯვენა მხარე, 2. № 3.

მოთხრობა ქართული მუშაობა

ბავშვს წესს მოსყიდვან თბილისში. მისივე წესი მატარებელს არა... ჩვეულებრივ მუშაობას რომ...

არაქველბურები მუშაობის ახალი... მატარებელი უფრო სწრაფად მო... ღვინო გადამოქმედებული...

მის დღეს ვაგონ-მეტროსთან თან... მშრომლობა, ხელზე მოდებდა ქაღალ... კოლეჯი და ლიბინითი სანქს დიდი...

როდესაც „ზიტა“ სახელს მორჩება ზღა... მატარებელი მუდმივ სადაზარაო... თვისა და უფრო.

მისივე წესს მოსყიდვან თბილისში... მატარებელი უფრო სწრაფად მო... ღვინო გადამოქმედებული...

გრძელდოდა დიდი წინა იყო... მართვის ბუფონი ატარებდა მის... მისივე წესს მოსყიდვან...

მატარებელი თბილისის სადგურში... ზოგანაც თანამშრომლებს დახე... ნენ და მუშებზე მანქანი წყვეტ... „აბრეკელები“ ახლი ზინდარს...

„ზიტა“ და ვერა იყო... მუდმივ მუშაობას ვერა... მუდმივ მუშაობას ვერა...

როგორც ვერა იყო... მუდმივ მუშაობას ვერა... მუდმივ მუშაობას ვერა...

როგორც ვერა იყო... მუდმივ მუშაობას ვერა... მუდმივ მუშაობას ვერა...



ვერის ხალისი მუდმივ „ზიტა“ პაპისის ახლოს.

ვერის ხალისი. მუდმივ მუშაობას... მუდმივ მუშაობას ვერა... მუდმივ მუშაობას ვერა...



„ზიტა“ დღის მთავარი ცხარე ბრინჯის დახარისა ვერა ბინის დახარისა. იგი ვერა დღისთვის არაფერს არაფერს არაფერს.

18.4/245

ეროვნული
ბიბლიოთეკა

